საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა

№ 004723

„10" 06 2026 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო, ქ. თბილისი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ვ. რცხილაძის ქ. I შესახვევი აბ/ს.

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: „ჯანდრის ცბ 2"
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
ჭრადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
ოკეზეთის აბ100031 ლიანდრის

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: გარემოს დაცვისა
ზედამხედველობის ტერიტორიული 2026 წლის 07 მაისის
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)
აბDES92600035878 ნომერი. ობიექტი ლიანდრა აბ/ს.

გასატარებელი ღონისძიებები: კანონმდებლობა 11.5 გუბის ტოვლეთი საგზაო
2026 წლ 08 ივნისის №21/8064 ტელეფონი. ინფორმაცია №2.
(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: ინფორმაცია №1-81 ფურცელი; ინფორმაცია №2-03 ფურცელი.
(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:
საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 86-ე
მუხლის პირველი ნაწილი
(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გუბის ტოვლეთი ზედამხედველი
(თანამდებობა, სახელი, გვარი)
ფუნქციონალურად უფლის მოსეს ბალავი ხელმძღვანელი ინსპექტორი
ნინო ყარყარაშვილი

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. ყარყარაშვილი

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):
გიორგაძე ეკატერინე
(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

08 ივნისი 2026

N 21/8064

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეს
მთავარ სახელმწიფო ინსპექტორს
ქალბატონ ნელი კორკოტაძეს

ქალბატონო ნელი,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 07 მაისის DES 9 26 00035878 კორესპონდენცია შპს „ჯანდარის ტბა-2"-ზე (ს/ნ 206312104) გაცემული თევზჭერის N100031 ლიცენზიით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების საფუძველზე გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, შპს „ჯანდარის ტბა-2"-სთვის ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის მიზნით, გონივრული ვადის განსაზღვრის თაობაზე.

"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შპს „ჯანდარის ტბა-2"-სთვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის მიზნით, წერილით წარმოდგენილ დარღვევებთან მიმართებაში, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია:

1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული "თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების 7^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ლიცენზიანტის თევზსამეურნეო საქმიანობის მარტვის გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, კერძოდ:

1.1 ლიცენზიანტის თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის შესაბამისად, ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის მიზნით ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთოსისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური სინჯების აღება, რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა. ამასთან თევზის რესურსებით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით ლიცენზიანტმა უნდა აწარმოოს შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სპეციალური ჟურნალი), რომელშიც უნდა დაფიქსირდეს წყლის მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები.

- ლიცენზიის მფლობელმა, ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის მიზნით, განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთოსისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური სინჯების აღება, რის საფუძველზეც უზრუნველყოს საკვების ბაზის მდგომარეობისა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხისა და წყლის დაბინძურების მდგომარეობის განსაზღვრა და მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუმეტეს 2 თვის ვადაში** შესაბამისი ანგარიშის (შედეგების) გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

დეპარტამენტში წარდგენა. ამასთან, თევზის რესურსებით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით **დაუყოვნებლის დაიწყოს და შემდგომში მუდმივად** უზრუნველყოს შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაციის (სპეციალური ჟურნალი) წარმოება, რომელშიც უნდა დაფიქსირდეს წყლის მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები.

1.2 იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტს დამტკიცებული აქვს თევზჭერის წლიური კვოტა, სახეობების მიხედვით, თევზჭერის პერიოდში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით ვადაში, ვალდებულია დეპარტამენტს მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების (როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით.

- ლიცენზიის მფლობელმა, მიწერილობის ჩაბარებიდან **5 დღის ვადაში** უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისთვის შესაბამის საანგარიშო პერიოდში წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. უზრუნველყოს ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით ვადაში შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.

1.3 ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად; დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში; <u>უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა</u> და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია.

- ლიცენზიის მფლობელმა **დაუყოვნებლივ დაიწყოს და შემდგომში მუდმივად** უზრუნველყოს წყლის ობიექტის მსხვილფეხა პირუტყვის (ძროხები, კამეჩები, ცხენები) მიერ გამოწვეული ორგანული დაბინძურებისგან დაცვა.

- ლიცენზიის მფლობელმა **დაუყოვნებლივ დაიწყოს** ლიცენზირებული წყლის ობიექტის, ასევე სანაპირო ზოლის დასუფთავება და ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **1 თვის ვადაში** უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტისათვის აღნიშნულის დადასტურების მიზნით ფოტო ან/და ვიდეო მასალის მიწოდება.

2. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით დამტკიცებული დამატებითი სალიცენზიო პირობების თანახმად, ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 65% უნდა იყოს, მათ შორის მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%; ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3%.

შპს "ჯანდარის ტბა-2"-ის მიერ, 2024 წელს წარმოდგენილი ინფორმაციით, ჯანდარის ტბაზე თევზის მარაგი არ შეესაბამება დამატებითი სალიცენზიო პირობებით განსაზღვრულ თევზის მარაგებს.

- ლიცენზიის მფლობელმა, მიწერილობის ჩაბარებიდან **1 წლის ვადაში,** უზრუნველყოს ლიცენზიით განსაზღვრულ წყალსატევში თევზის მარაგის სალიცენზიო პირობების შესაბამისი ოდენობით უზრუნველყოფა და აღიარებული კვლევის მეთოდოლოგიის გამოყენებით კომპეტენტური სპეციალისტის (რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი კვალიფიკაციით) მიერ ჩატარებული კვლევის ანგარიშის წარმოდგენა, აღნიშნული ვადის გასვლიდან **არა უგვიანეს 3 თვისა**.

პატივისცემით,

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/8064-21-2-202606081937

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE

სსდ გარემოსდაცვითი
ზედამხედველობის
დეპარტამენტი

ვლადიმერ წითლანაძის I შესახვევი N1
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 72 02 69
info@des.gov.ge

დანსი ფბ1.

07/05/2026

DES 9 26 00035878

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსს
ქალბატონ ელენე ღუბიანურს

ქალბატონო ელენე,

გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 28 აპრილის №DES52500000125 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა შპს "ჯანდარის ტბა-2"-ზე (ს/კ 206312104) გაცემული №100031 თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობების და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ლიცენზიის მფლობელის მიერ არ იყო შესრულებული საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული "თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების 7^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)", "კ)" და "ჟ)" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სალიცენზიო პირობები, ასევე არ იყო შესრულებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით დადგენილი დამატებითი სალიცენზიო პირობები. კერძოდ:

1. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული "თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების 7^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ბ)" ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებულია შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

შპს "ჯანდარის ტბა-2"-ს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 22 მარტის №2-149 ბრძანებით დამტკიცებული თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის (გვ. 11 - "მონიტორინგის გეგმა და მეთოდები") შესაბამისად, ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის მიზნით ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში ლიცენზიანტმა უნდა განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთოსისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური სინჯების აღება, რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა.

ამასთან, გეგმის შესაბამისად თევზის რესურსებით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით წარმოებული იქნება შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სპეციალური ჟურნალი), რომელშიც დაფიქსირდება წყლის მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ლიცენზიის მფლობელმა ვერ წარმოადგინა ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე სპეციალური ჟურნალი;

2. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული "თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების 7^1 მუხლის მე-3 პუნქტის "კ)" ქვეპუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტს დამტკიცებული აქვს თევზჭერის წლიური კვოტა, სახეობების მიხედვით, თევზჭერის პერიოდში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით ვადაში, ვალდებულია დეპარტამენტს მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების (როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით.

შპს "ჯანდარის ტბა-2"-ს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 28 თებერვლის №92/ს ბრძანებით დამტკიცებული ჰქონდა 2025 წლისათვის თევზის მოპოვების კვოტები, თუმცა 2025 წლის მარტის თვეში შპს "ჯანდარის ტბა 2"-ის მიერ წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტში არ იქნა წარმოდგენილი;

3. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილებით დამტკიცებული "თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების 7^1 მუხლის მე-3 პუნქტის "ჟ)" ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიანტი ვალდებულია უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად; დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში; **უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა** და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია.

შემოწმების პროცესში ჯანდარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროებზე (GPS კოორდინატები: X-518212, Y-4588259; X-518131, Y-4588324) გამოვლინდა ტბის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანების ფაქტი (პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, კონსერვის ქილები და სხვა). ასევე დადგინდა, რომ ნარჩენებით დაბინძურებულია როგორც უშუალოდ ზედაპირული წყლის ობიექტი, ასევე მისი ნაპირები.

ამასთან, გამოვლინდა, რომ მსხვილფეხა საქონელი (ძროხები, კამეჩები, ცხენები) პირდაპირ შედიან წყალსაცავში და ხდება წყლის ობიექტის ფეკალიებით დაბინძურება;

4. საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით შპს "ჯანდარის ტბა-2"-ს (ს/კ 206312104) დადგენილი აქვს დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომლის შესაბამისად, ლიცენზიანტი ვალდებულია ისე წარმართოს თევზსამეურნეო საქმიანობა, რომ წყალსაცავში უზრუნველყოფილი იქნას თევზის მარაგის გაზრდა, ამასთანავე უნდა განხორციელდეს კარჩხანის წილის შემცირება მთელ მარაგში. კერძოდ, ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს წყალსაცავში თევზის საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 159 ტონას, **ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 238 ტონას,** ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროის ჩათვლით. ამასთანავე, ლიცენზიის გაცემიდან **მეოთხე წელს და შემდგომ წლებში** თევზის საერთო მარაგში კარასის წილი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 65% უნდა იყოს, მათ შორის მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%; ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3%.

შპს "ჯანდარის ტბა-2"-ის მიერ, 2024 წელს კვოტის დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი თევზის მარაგების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ 2024 წლის 11-18 ნოემბერს ჩატარებულ სამეცნიერო თევზჭერას, ჯანდარის ტბაზე თევზის მარაგი შეადგენს:

- ჭრელი სქელშუბლა (Aristichthys nobillis) 24.32 ტონა (ანგარიშში დაშვებული აქვთ მექანიკური შეცდომა, მითითებული აქვთ 34.32ტ.), რაც არის საერთო მარაგის **24.48%;**
- თეთრი სქელშუბლა (Hypophthalmichthys molitrix) 15.79 ტონა, რაც არის საერთო მარაგის **15.9%;**
- თეთრი ამური (Ctenopharyngodon idella) 12.6 ტონა, რაც არის საერთო მარაგის **12.69%;**
- კობრი (Cyprinus carpio) 9.11 ტონა, რაც არის საერთო მარაგის **9.17%;**
- ჩვეულებრივი კარჩხანა (კარასი) (Carassius carassius) 37.50 ტონა, რაც არის საერთო მარაგის **37.76%.**

შესაბამისად, დადგინდა შემდეგი:

4.1. ჯამში, საერთო მარაგმა შეადგინა 99.32 ტონა, ნაცვლად ლიცენზიის პირობებით განსაზღვრული 238 ტონისა;

4.2. კარასის წილი საერთო ოდენობაში შეადგენს 37.76%-ს, ნაცვლად სალიცენზიო პირობით განსაზღვრული 35%-სა;

4.3. მტკვრის წვერას, ჭანარის, ხრამულის, ღორჯოს და მურწას სახეობის თევზები არ ფიქსირდება თევზის მარაგში.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით და ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებზე, 2025 წლის 27 ივნისს, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №087437 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 03 სექტემბრის №4-270-25 დადგენილებით, შპს "ჯანდარის ტბა-2" (ს/კ 206312104) სცნო სამართალდამრღვევად და დააკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

როგორც თქვენთვის ცნობილია, "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის შესაბამისად, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმების შემდეგ ლიცენზიის გამცემი განსაზღვრავს გონივრულ ვადას სალიცენზიო პირობების დაკმაყოფილებისათვის და დაადგენს იმ პირობებს, რომელთა დაცვა აუცილებელია კონკრეტული საქმიანობის განხორციელებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობის აღმოსაფხვრელად, ადმინისტრაციული მიწერილობის წარდგენის მიზნით, შპს "ჯანდარის ტბა-2"-ს (ს/კ 206312104) განუსაზღვროთ გონივრული ვადა და აღნიშნულის თაობაზე აცნობოთ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: 77 ფურცლად;

პატივისცემით,

ნელი კორკოტაძე

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე -
მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი

ნ. კორკოტაძე

ფროსის
ბრძანებლობა
ეროვნული
ინსპექტორატი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ოქმი № 087437

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ

ქ. თბილისი ვ. წიფლანაძის I შესახვევი №1 — 27 ივნისი 2025წ.
(ოქმის შედგენის ადგილი) (თარიღი)

ბიომრავალფეროვნების კონტროლის სამსახურის ცხოვრება სამყაროს კონტროლის
(ოქმის შემდგენლის თანამდებობა, სახელი, გვარი, მისამართი, ტელეფონი)

განყოფილების ხელმძღვანელი [redacted] ქ. თბილისი ვ. წიფლანაძის

I შესახვევი №1 [redacted]

სამართალდამრღვევი: შპს „ჯანდარის ფბა-2" [redacted] იურიდიული მისამართი:

[redacted]

(მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში მიეთითება სახელი, გვარი, დაბადების

[redacted]

ნომერი, იურიდიული მისამართი, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მონაცემები)

გამოვავლინე, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
(სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი)

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ოქტომბრის 2025 წლის 28 აპრილის №DES525000000125 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შპს „ჯანდარის ფბა-2"-ს (ს/კ 206312104) გვგმიანი ობიექტების შეღებვის ღონისძიება რომ შპს „ჯანდარის ფბა-2"-ს მიერ ლარგვალი №100031 ფავზეთის ლოკალურ გაფიცილნებელი პირობა, კერძოდ: ლარგვალის მიერ ეს არის შესრულებული საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილების 7' მუხლის ბ-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს. „შეასრულოს მასზეა გვგმა გაფიცილნებული ღონისძიებები". – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 22 მარტის №2-149 ბრძანებით დამტკიცებული აკრძალულია საქმიანობის მასზეა გვგმის ბ-11 გვერდზე მოცემული „მონიტორინგის გეგმა და პროგრამა"-ს შესაბამისად, ლარგვალის პერიმეტრზე მონიტორინგის მიზნით ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში უნდა განახორციელოს ფიტოპრინტერული, ზოოპრინტერული, ჭუჭყიანობა და ხმაურის ფიზიკური სინჯების აღება (გვგმიანი ობიექტი №087437 ოქმის დანართი №1-ში)

რაც არის:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილის _____ დარღვევა,

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის _____ დარღვევა.

(მუხლი ან/და მუხლის ნაწილი)

სამართალდამრღვევს განემარტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები.

სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება:

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

_____

მოწმეებს (მათი არსებობის შემთხვევაში) განემარტათ თავიანთი უფლება-მოვალეობები, გათვალისწინებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლით.

_____

(მოწმის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი)

_____

ჩამორთმეულ და დალუქულ იქნა შემდეგი ნივთები და დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

_____

_____

_____

მოწმეები (თუ ისინი ესწრებიან): _____

(ხელმოწერა)

_____

(ხელმოწერა)

ოქმის შემდგენელი: _____

(ხელმოწერა)

სამართალდამრღვევი: _____

([illegible] ყარის აღნიშვნა)

ოქმის ერთი პირი მივიღე: _____

(სამართალდამრღვევის ხელმოწერა)

დამკვეთი: სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დამამზადებელი: შპს "პოლიგრაფისტი"
სფს-ს რეგისტრაციის №38-5320

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №087437 ოქმის დანართი №1

რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა. ლიცენზიანტმა ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ამავე ქვეთავში აღნიშნულია, რომ თევზის რესურსებით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით წარმოებული იქნება შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სპეციალური ჟურნალი), რომელშიც დაფიქსირდება წყლის მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები. ლიცენზიანტმა ვერ წარმოადგინა სპეციალური ჟურნალი ზემოაღნიშნული მონაცემებით.

კ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტს დამტკიცებული აქვს თევზჭერის წლიური კვოტა, სახეობების მიხედვით, თევზჭერის პერიოდში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით ვადაში, დეპარტამენტს მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების (როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით“

ლიცენზიანტს 2025 წლის 28 თებერვლის №92/ს ბრძანებით დაუმტკიცდა 2025 წლისათვის თევზის მოპოვების კვოტები, რის შესაბამისად, ლიცენზიანტი ვალდებული იყო 5 აპრილის ჩათვლით წარმოედგინა ლიცენზირებულ ობიექტში მარტის თვის თევზჭერაზე ინფორმაცია. შპს „ჯანდარის ტბა 2“-ს 2025 წლის მარტის თვეში წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტში არ წარმოუდგენია.

ჟ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად; დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში; უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია“

ინსპექტირების პროცესში ჯანდარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროებზე (GPS კოორდინატები: X-518212, Y-4588259; X-518131, Y-4588324) ნანახი იქნა ტბის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანების კერები კერძოდ პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, კონსერვის ქილები და სხვა. ნაგავი ყრია როგორც წყალში ასევე უშუალოდ ნაპირებთან. აღსანიშნავია ასევე რომ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი (ძროხები, კამეჩები, ცხენები) პირდაპირ შედიან წყალსაცავში და ახორციელებენ ფეკალიებით დაბინძურებას რაც ასევე დაფიქსირებული იქნა

როგორც ზემოაღნიშნულ ლოკაციაზე ასევე ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (GPS კოორდინატები: X-516975, Y-4588283; X-517509, Y-4588422).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი სალიცენზიო სპეციალური პირობა რომლის შესაბამისადაც ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე -მეშვიდე წელს წყალსაცავში თევზის საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 159 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 238 ტონას, ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროის ჩათვლით, ამასთანავე ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 65% უნდა იყოს, მათ შორის მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%; ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3%.

მიმდინარე შემოწმების ფარგლებში მარაგების დადგენის მიზნით თევზჭერა არ განხორციელებულა, თუმცა ლიცენზიანტის მიერ 2024 წელს კვოტის დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი თევზის მარაგების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ 2024 წლის 11-18 ნოემბერს ჩატარებულ სამეცნიერო თევზჭერას, ჯანდარის ტბაზე თევზის მარაგები შეადგენს:

- ჭრელი სქელშუბლა (Aristichthys nobillis) 24.32 ტონა. (ანგარიშში დაშვებული აქვთ მექანიკური შეცდომა, მითითებული აქვთ 34.32ტ.) რაც არის საერთო მარაგის 24.48%.
- თეთრი სქელშუბლა (Hypophthalmichthys molitrix) 15.79 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 15.9%.
- თეთრი ამური (Ctenopharyngodon idella) 12.6 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 12.69%. 4. კობრი (Cyprinus carpio) 9.11 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 9.17%.
- ჩვეულებრივი კარჩხანა (კარასი) (Carassius carassius) 37.50 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 37.76%.

ჯამში საერთო მარაგმა ტონებში შეადგინა 99.32 ტონა.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ტბაში არსებული საერთო მარაგი - 99.32ტ. არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობით დადგენილ ოდენობას - 238 ტონას.

ასევე კარასის წილი საერთო ოდენობაში შეადგენს 37.76%-ს. სალიცენზიო პირობით კი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს.

ასევე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობის თანახმად, მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%-ს უნდა შეადგენდეს, ასევე, ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3% უნდა იყოს, თუმცა აღნიშნული სახეობები საერთოდ არ ფიგურირებს ლიცენზიანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად თევზის მარაგში.

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
შემოწმების შესახებ

ინსპექტირების აქტი № 004517

ქ. თბილისი ვ. ნიდელიძის I შესახვევი №1. 27 ივნისი 2025 წ.
(აქტის შედგენის ადგილი)

„შპს „ჯანდარის ცმა-2"
(რეგულირების ობიექტის თანამდებობა

[redacted]

ოეკვიზიტები)

[redacted]

საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნები შეამოწმა ტიბილისი-ვერეის
კონტროლის სამსახურის ცენტრალა საბაჟო კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელი
(დეპარტამენტის უფლებამოსილი საჯარო მოსამსახურ(ეებ)ის თანამდებობა, სახელი, გვარი)

[redacted] ამავე განყოფილების ინსპექტორები [redacted] და
ქ. ქუთაისის ხელ. საბაჟო გაფორმების [illegible] ინსპექტორების
განყოფილების სპეციალურ-ინსპექტორი [redacted]

შემოწმების ჩატარების საფუძველი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის
უფროსის 2025 წლის 28 აპრილის №: DES 525 00000125
(ბრძანება – რეგულირების ობიექტის შემოწმების შესახებ ან სხვა
შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი)
ბრძანება.

შემოწმებაში მონაწილეობა მიიღეს _____
(შემოწმებაში მონაწილეთა გვარი, სახელი, თანამდებობა – მისი არსებობისას)

შესამოწმებელი ობიექტის საქმიანობის ძირითადი მონაცემები „შპს „ჯანდარის ცმა-2"-ზე
2010 წლის 23 აპრილს გაცემულია №100031 ოპერაციის ლიცენზია და
(როდიდან მოქმედებს, გამოყენებული ნედლეული,წარმოებული პროდუქცია, საპროექტო და ფაქტობრივი სიმძლავრე,
ძალაშია 2030 წლის 22 აპრილამდე. ლიცენზიით გათვალისწინებული
გარემოს დამაბინძურებელი უბნები და მათი მდგომარეობის მოკლე დახასიათება, ტექნოლოგიური პროცესის მოკლე
ფენომენია „ჯანდარის ცმა. ხოშტარა მდებარეობს კარის ბნის
აღწერა და ა.შ.)

მუნიციპალიტეტში. ღიდანგიანების სოფლის საკრებულოს ბრძანების მეუხნეობის წარმოება.

გამოვლენილი ნაკლოვანებები და დარღვევები: შესახებ იხილეთ ინსპექტირების აქტი №004517-ის დანართი №1.
(დარღვევათა სრული ჩამონათვალი არსებობის შემთხვევაში)

მიწერილობებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულების მდგომარეობა

ობიექტის წარმომადგენლის ახსნა-განმარტება

აქტს თან ერთვის დანართი: ინსპ. აქტი №004517 დანართი 1 (ჯამ) 29 ფურცელი, 30 ფურცელი, 1-2 ბეჭდი სავსე აქვანი (4 ჯამ.)

(ობ[redacted]ელმოწერა)

[redacted]წერა)

მონაწილეთა ხელმოწერა:

შემოწმების შესახებ ინსპექტირების აქტი №004517 -ის დანართი

ადგილზე განხორციელებული ინსპექტირების და მოპოვებული დოკუმენტაციის კამერალური დამუშავების შედეგად გამოვლინდა რომ შპს ,,ჯანდარის ტბა-2"-ის (ს/კ 206312104) მიერ დარღვეულია №100031 თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები, კერძოდ:

ლიცენზიანტის მიერ არ არის შესრულებული:

საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №138 დადგენილების 7[1] მუხლის, მე-3 პუნქტის:

ბ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები"

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 22 მარტის №2-149 ბრძანებით დამტკიცებული თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის მე-11 გვერდზე მოცემული „მონიტორინგის გეგმა და მეთოდები"-ს შესაბამისად, ლიცენზიანტმა ჰიდრობიოლოგიური მონიტორინგის მიზნით ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში უნდა განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთოსისა და წყლის ფიზიკო-ქიმიური სინჯების აღება, რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა. ლიცენზიანტმა ვერ წარმოადგინა ზემოაღნიშნული კვლევების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ამავე ქვეთავში აღნიშნულია, რომ თევზის რესურსებით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით წარმოებული იქნება შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია (სპეციალური ჟურნალი), რომელშიც დაფიქსირდება წყლის მონიტორინგისა და ჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები. ლიცენზიანტმა ვერ წარმოადგინა სპეციალური ჟურნალი ზემოაღნიშნული მონაცემებით.

კ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „იმ შემთხვევაში, თუ ლიცენზიანტს დამტკიცებული აქვს თევზჭერის წლიური კვოტა, სახეობების მიხედვით, თევზჭერის პერიოდში, ყოველი თვის 5 რიცხვის ჩათვლით ვადაში, დეპარტამენტს მიაწოდოს ინფორმაცია მოპოვებული თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების (როგორც ბუნებრივად, ასევე ხელოვნურად მოშენებულის) შესახებ სახეობებისა და ოდენობების ჩვენებით"

ლიცენზიანტს 2025 წლის 28 თებერვლის №92/ს ბრძანებით დაუმტკიცდა 2025 წლისათვის თევზის მოპოვების კვოტები, რის შესაბამისად, ლიცენზიანტი ვალდებული იყო 5 აპრილის ჩათვლით წარმოედგინა ლიცენზირებულ ობიექტში მარტის თვის თევზჭერაზე ინფორმაცია. შპს „ჯანდარის ტბა 2"-ს 2025 წლის მარტის თვეში წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაცია დეპარტამენტში არ წარმოუდგენია.

ჟ) ქვეპუნქტი, რომელიც ითვალისწინებს „უზრუნველყოს წყალსატევში წყლის რაციონალური გამოყენება და იზრუნოს მისი ხარისხის შესანარჩუნებლად და აღსადგენად; დაიცვას წყალსარგებლობის დადგენილი წესები, ნორმები და რეჟიმი, არ დაუშვას თევზის მოხვედრა სამელიორაციო ან/და სხვა სისტემებში; უზრუნველყოს წყლის დაცვა დაბინძურების, დანაგვიანებისა და დაშრეტისაგან, წყლის რესურსებზე მავნე ზემოქმედების თავიდან აცილება და მისი შედეგების ეფექტური ლიკვიდაცია"

ინსპექტირების პროცესში ჯანდარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროებზე (GPS კოორდინატები: X-518212, Y-4588259; X-518131, Y-4588324) ნანახი იქნა ტბის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანების კერები კერძოდ პლასტმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, კონსერვის ქილები და სხვა. ნაგავი ყრია როგორც წყალში ასევე უშუალოდ ნაპირებთან. აღსანიშნავია ასევე რომ დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი (ძროხები, კამეჩები, ცხენები) პირდაპირ შედიან წყალსაცავში და ახორციელებენ ფეკალიებით დაბინძურებას რაც ასევე დაფიქსირებული იქნა როგორც ზემოაღნიშნულ ლოკაციაზე, ასევე ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (GPS კოორდინატები: X-516975, Y-4588283; X-517509, Y-4588422).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრული დამატებითი სალიცენზიო სპეციალური პირობა რომლის შესაბამისადაც ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე -მეშვიდე წელს წყალსაცავში თევზის საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 159 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში მინიმუმ 238 ტონას, ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროის ჩათვლით, ამასთანავე ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე წელს და შემდგომ წლებში თევზის საერთო მარაგში კარასის წილი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი მინიმუმ 65% უნდა იყოს, მათ შორის მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%; ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3%.

მიმდინარე შემოწმების ფარგლებში მარაგების დადგენის მიზნით თევზჭერა არ განხორციელებულა, თუმცა ლიცენზიანტის მიერ 2024 წელს კვოტის დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი თევზის მარაგების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ 2024 წლის 11-18 ნოემბერს ჩატარებულ სამეცნიერო თევზჭერას, ჯანდარის ტბაზე თევზის მარაგები შეადგენს:

- ჭრელი სქელშუბლა (Aristichthys nobillis) 24.32 ტონა. (ანგარიშში დაშვებული აქვთ მექანიკური შეცდომა, მითითებული აქვთ 34.32ტ.) რაც არის საერთო მარაგის 24.48%.
- თეთრი სქელშუბლა (Hypophthalmichthys molitrix) 15.79 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 15.9%.
- თეთრი ამური (Ctenopharyngodon idella) 12.6 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 12.69%. 4. კობრი (Cyprinus carpio) 9.11 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 9.17%.
- ჩვეულებრივი კარჩხანა (კარასი) (Carassius carassius) 37.50 ტონა. რაც არის საერთო მარაგის 37.76%.

ჯამში საერთო მარაგმა ტონებში შეადგინა 99.32 ტონა.

წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით ტბაში არსებული საერთო მარაგი - 99.32ტ. არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობით დადგენილ ოდენობას - 238 ტონას.

ასევე კარასის წილი საერთო ოდენობაში შეადგენს 37.76%-ს. სალიცენზიო პირობით კი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს.

ასევე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობის თანახმად, მტკვრის წვერა საერთო მარაგის მინიმუმ 1%-ს უნდა შეადგენდეს, ასევე, ჭანარი საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%; ხრამული საერთო მარაგის 1,5%; ღორჯო საერთო მარაგის მინიმუმ 3%; მურწა საერთო მარაგის 0,3% უნდა იყოს, თუმცა აღნიშნული სახეობები საერთოდ არ ფიგურირებს ლიცენზიანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად თევზის მარაგში.

საქმე №4-270-25 (351510025011670385)

11065555302724

www.ecd.court.ge

დადგენილება

საქართველოს სახელით

ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ

03 სექტემბერი, 2025 წელი ქ. გარდაბანი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე
გარდაბნის მუნიციპალიტეტში - ირინე ტყეშელაშვილი
სხდომის მდივანი -

საქმის განხილვის ფორმა - ზეპირი მოსმენით

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი - სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
წარმომადგენელი -

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალეული პირი - შპს „ჯანდარის ტბა - 2“

სასამართლომ **ღია** სასამართლო სხდომაზე განიხილა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან წარმოდგენილი მასალები **შპს „ჯანდარის ტბა - 2“-ს** მიმართ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილითა და საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ სავარაუდო გადაცდომებზე და

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

04.07.2025 წელს გარდაბნის მაგისტრატ სასამართლოს მომართა შუამდგომლობით სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - ნელი კორკოტაძემ და წარმოადგინა განსახილველად **27.06.2025** წელს შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი № **087437.**

სამართალდარღვევის ოქმის მიხედვით, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის

დეპარტამენტის უფროსის 28.04.2025 წლის № DES52500000125 ბრძანების საფუძველზე განხორციელებული შპს „ჯანდარის ტბა - 2"-ს (ს/ნ 206312104) გეგმიური ინპექტირებისას შედეგად, დადგინდა, რომ შპს „ჯანდარის ტბა - 2"-ს მიერ დარღვეულია № 100031 თევზჭერის ლიცენზიით გათვალისწინებული პირობები. კერძოდ, ლიცენზიანტის მიერ არ არის შესრულებული საქართველოს მთავრობის **2005 წლის 11 აგვისტოს №138** დადგენილებით დამტკიცებული **,,თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების** მე-7[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნა, რომელიც ითვალისწინებს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების ვალდებულებას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 23.03.2023 წლის №2-149 ბრძანებით დამტკიცებული ,,თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმის" მე-11 გვერდზე მოცემული ,,მონიტორინგის გეგმა და მეთოდების" შესაბამისად, ლიცენზიანტმა, ჰიდრობიოლოგიური მონიტორის მიზნით, ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში უნდა განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთისისა და წყლის ფიზიკოქიმიური სინჯების აღება, რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა. ამავე ბრძანების მიხედვით, თევზის რესურსით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით წარმოებული იქნება შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდება წყლის მონიტორინგისა და დაჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები. **თუმცა, ლიცენზიატმა ვერ წარადგინა სპეციალური ჟურნალი ზემოაღნიშნული მონაცემებით.**

ლიცენზიატს, 28.02.2025 წლის №92/ს ბრძანებით დაუმტკიცდა 2025 წლისათვის თევზის მოპოვების კვოტები, რის შესაბამისად, ლიცენზიატი იყო ვალდებული 05 აპრილის ჩათვლით წარედგინა ლიცენზირებულ ობიქეტში, მარტის თვის თევზჭერაზე ინფორმაცია. **თუმცა, ლიცენზიატმა 2025 წლის მარტის თვეში წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაცია, დეპარტამენტში არ წარადგინა.**

ინსპექტირების პროცესში, ჯანდარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე (GPS კოორდინატები: X - 518212, Y - 4588259; X - 518131, Y - 4588324) ნანახი იქნა ტბის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანების კერები, კერძოდ, პლატმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, კონსერვის ქილები და სხვა. ნაგავი დაყრილი იყო, როგორც წყალში, ასევე უშუალოდ ნაპირებთან. ასევე, დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი (ძროხები, კამეჩები, ცხენები) პირდაპირ შედიან წყალსაცავში და ახორციელებენ ფეკალიებით დაბინძურებას, რაც ასევე დაფიქსირებული იქნა როგორც ზ/აღნიშნულ ლოკაციაზე, ასევე ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს (GPS კოორდინატები: X - 516975, Y- 4588283; X- 517509, Y - 4588422).

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 28.01.2010 წლის №1-1/133 ბრძანებით, განსაზღვრულია დამატებითი სალიცენზიო სპეციალური პირობა,

რომლის შესაბამისად, ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე-მეშვიდე წელს წყალსაცავში თევზის საერთო მარაგი უნდა შეადგენდეს მინიმუმ 159 ტონას, ხოლო მერვე წელს და შემდგომ წლებში, მინიმუმ 238 ტონას, ლიცენზიის ვადის ამოწურვის დროის ჩათვლით, ამასთანავე, ლიცენზიის გაცემიდან მეოთხე წელს და შემდგომ წლებში, თევზის საერთო მარაგში ,,კარასის" წილი არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს, ხოლო სხვა თევზების წილი უნდა იყოს მინიმუმ 65%, მათ შორის ,,მტკვრის წვერა" საერთო მარაგის მინიმუმ 1%, ,,ჭანარი" საერთო მარაგის მინიმუმ 0.5%, ,,ხრამული" საერთო მარაგის 1.5%, ,,ღორჯო" საერთო მარაგის მინიმუმ 3%, ,,მურწა" საერთო მარაგის 0.3%.

მიმდინარე შემოწმების ფარგლებში, მარაგების დადგენის მიზნით თევზჭერა არ განხორციელებულა, თუმცა, ლიცენზიატის მიერ 2024 წელს კვოტის დამტკიცების მიზნით წარდგენილი თევზის მარაგების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, რომელიც ეფუძნება მათ მიერ 2024 წლის 11 – 18 ნოემბერს ჩატარებულ სამეცნიერო თევზჭერას, ჯანდარის ტბაზე თევზის მარაგები შეადგენს: 24,32 ტონა ჭრელ სქელშუბლას (ანგარიშში დაშვებულია მექანიკური შემცდომა, მითითებულია 34,32 ტონა), რაც არის საერთო მარაგის 24,48%; 15,79 ტონა თეთრი სქელშუბლა, რაც არის საერთო მარაგის 15,9%; 12,6 ტონა თეთრი ამური, რაც არის საერთო მარაგის 12,69%; 9,11 ტონა კობრი, რაც არის საერთო მარაგის 9,17%; 37,50 ტონა ჩვეულებრივი კარჩხანა (კარასი), რაც არის საერთო მარაგის 37,76%. ჯამში საერთო მარაგმა შეადგინა 99,32 ტონა.

წარდგენილი მარაგების მიხედვით, ტბაში არსებული საერთო მარაგი - 99.32 ტონა, არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის № 1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობით დადგენილ ოდენობას - 238 ტონას. **ასევე,** ,,კარასის" წილი საერთო ოდენობაში შეადგენს 37.76%-ს, თუმცა სალიცენზიო პირობით, არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს. **ასევე,** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის № 1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებით სალიცენზიო პირობის თანახმად, ,,მტკვრის წვერა", საერთო მარაგის მინიმუმ 1%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ჭანარი" საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ხრამული" საერთო მარაგის 1,5%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ღორჯო" საერთო მარაგის 3%-ს უნდა შეადგენდეს; ,,მურწა" საერთო მარაგის 0,3%-ს უნდა შეადგენდეს. თუმცა, აღნიშნული სახეობები საერთოდ არ ფიგურირებს ლიცენზიანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად თევზის მარაგში.

მხარეთა ახსნა-განმარტებები:

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ქვემო ქართლის რეგიონული სამმართველოს წარმომადგენელი დაეთანხმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს და ძოითხოვა **შპს „ჯანდარის ტბა - 2"-ს** დაჯარიმება.

შპს „ჯანდარის ტბა - 2“-ს წარმომადგენელი, 16.07.2025 წელს და 03.09.2025 წელს დგამართულ სხდომებზე არ გამოცხადდა. 03.09.2025 წელს დანიშნული სხდომის თაობაზე უწყება, იურიდიული პირის დირექტორს პირადად ჩაბარდა 30.07.2025 წელს (იხილეთ აქტი).

სასამართლომ მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტება და გაეცნო წარმოდგენილ მასალებს, მიიჩნევს, რომ შპს „ჯანდარის ტბა - 2“ ცნობილ უნდა იქნას სამართალდამრღვევად, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-8 მუხლის მიხედვით, არავის არ შეიძლება შეეფარდოს ზემოქმედების ზომა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო, თუ არა კანონმდებლობით დადგენილ საფუძველზე და წესით. ამავე კოდექსის მე-10 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ზემოაღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ პირის სამართალდამრღვევად ცნობისათვის და შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელის დადებისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს სამართალდარღვევის ფაქტის არსებობა, ხოლო შემდეგ - მისი ბრალეულობა ამ ფაქტის დადგომაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად, 1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. 2. ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით,

ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით. 3. სამართალდარღვევის მტკიცების ტვირთი ეკისრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მწარმოებელ ადმინისტრაციულ ორგანოს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად, 1. არცერთ მტკიცებულებას არ აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი), რომელიც კანონითა და მართლშეგნებით ხელმძღვანელობს, მტკიცებულებას აფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც ემყარება საქმის ყველა გარემოების ერთობლივ, ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას. 2. მტკიცებულების შეფასების დროს წარმოშობილი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პასუხისგებაში მიცემული პირის სასარგებლოდ.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლით, ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა გამოარკვიოს გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, თევზჭერის ლიცენზიის მფლობელის მიერ თევზჭერის ლიცენზიის პირობებისა და მოთხოვნების დარღვევა, გამოიწვევს დაჯარიმებას **2000 ლარის ოდენობით.**

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს № 138 დადგენილებით დამტკიცებულია ,,თევზჭერის ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულება. აღნიშნული დებულების მე-7[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის მიხედვით, ლიცენზიის მფლობელი, გარდა შავ ზღვაში თევზჭერის ლიცენზიატისა, ვალდებულია შეასრულოს მართვის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 23.03.2023 წლის №2-149 ბრძანებით დამტკიცდა ,,თევზსამეურნეო საქმიანობის მართვის გეგმა", რომლის შესაბამისად, ლიცენზიანტმა, ჰიდრობიოლოგიური მონიტორის მიზნით, ყოველწლიურად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში უნდა განახორციელოს ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის, ბენთისისა და წყლის ფიზიკოქიმიური სინჯების აღება, რომლითაც განისაზღვრება საკვები ბაზის მდგომარეობა და თევზების მიერ მათი ათვისების ხარისხი, წყლის დაბინძურების მდგომარეობა. ამავე ბრძანების მიხედვით, თევზის რესურსით სარგებლობის, აღწარმოებისა და დაცვის მიზნით წარმოებული იქნება შიდა სააღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდება

წყლის მონიტორინგისა და დაჰიდრობიოლოგიური ანალიზის ყოველწლიური მაჩვენებლები. **თუმცა, როგორც დგინდება, შპს ,,ჯანდარის ტბა - 2"-მა ვერ წარადგინა სპეციალური ჟურნალი ზემოაღნიშნული მონაცემებით.**

ასევე ირკვევა, რომ 28.02.2025 წლის №92/ს ბრძანებით, **შპს ,,ჯანდარის ტბა - 2"-ს** დაუმტკიცდა 2025 წლისათვის თევზის მოპოვების კვოტები, რის შესაბამისად, ლიცენზიატი იყო ვალდებული 05 აპრილის ჩათვლით წარედგინა ლიცენზირებულ ობიექტში, მარტის თვის თევზჭერაზე ინფორმაცია. **თუმცა, როგორც დგინდება, შპს ,,ჯანდარის ტბა - 2"-მა, 2025 წლის მარტის თვეში წარმოებული თევზჭერის შესახებ ინფორმაცია, დეპარტამენტში არ წარადგინა.**

ასევე - წარდგენილი მარაგების მიხედვით, ტბაში არსებული საერთო მარაგი - 99.32 ტონა, არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის №1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებითი სალიცენზიო პირობით დადგენილ ოდენობას - 238 ტონას. **ასევე,** ,,კარასის" წილი საერთო ოდენობაში შეადგენს 37.76%-ს, თუმცა სალიცენზიო პირობით, არ უნდა აღემატებოდეს 35%-ს. **ასევე,** საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 იანვრის № 1-1/133 ბრძანებით განსაზღვრულ დამატებით სალიცენზიო პირობის თანახმად, ,,მტკვრის წვერა", საერთო მარაგის მინიმუმ 1%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ჭანარი" საერთო მარაგის მინიმუმ 0,5%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ხრამული" საერთო მარაგის 1,5%-ს უნდა შეადგენდეს; ,,ღორჯო" საერთო მარაგის 3%-ს უნდა შეადგენდეს; ,,მურწა" საერთო მარაგის 0,3%-ს უნდა შეადგენდეს. თუმცა, აღნიშნული სახეობები საერთოდ არ ფიგურირებს ლიცენზიანტის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების თანახმად თევზის მარაგში.

სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის შესაბამისად, 2 კგ ან 2 კგ-ზე მეტი მუნიციპალური ნარჩენით გარემოს დანაგვიანება (გარდა ამ მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა), გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით, იურიდიული პირის დაჯარიმებას - **1500 ლარის ოდენობით.**

როგორც ინსპექტირების პროცესში დადგინდა, ჯანდარის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთის სანაპიროზე ნანახი იქნა ტბის საყოფაცხოვრებო ნარჩენებით დანაგვიანების კერები, კერძოდ, პლატმასის ბოთლები, პოლიეთილენის პარკები, კონსერვის ქილები და სხვა. ნაგავი დაყრილი იყო, როგორც წყალში, ასევე უშუალოდ ნაპირებთან. ასევე, დიდი რაოდენობით მსხვილფეხა საქონელი (ძროხები, კამეჩები, ცხენები) პირდაპირ შედიან წყალსაცავში და ახორციელებენ ფეკალიებით დაბინძურებას, რაც ასევე დაფიქსირებული იქნა როგორც ზ/აღნიშნულ ლოკაციაზე, ასევე ჩრდილოეთ და ჩრდილო-დასავლეთ მხარეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოპოვებული და სასამართლოში წარმოდგენილი წერილობითი

მტკიცებულებებით, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის ზეპირი ახსნა-განმარტებით, სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, შპს „ჯანდარის ტბა - 2“ მხრიდან, **27.06.2025 წლის № 087437** ადმინისტარციული სამართალდარღვის ოქმში მითითებული სამართლდარღვევების ჩადენის ფაქტები, რაც იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ასკ-ის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილითა და ნმკ-ის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევისათვის ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. სახდელის დადებისას, მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს, მას ადმინისტრაციული სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო მძიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. ამ შემთხვევაში ძირითად ადმინისტრაციულ სახდელს შეიძლება დაემატოს ერთ-ერთი დამატებითი ადმინისტრაციული სახდელი იმ სახდელთაგან, რომლებსაც ითვალისწინებს რომელიმე ჩადენილი სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლი.

შესაბამისად, **შპს „ჯანდარის ტბა - 2“** ცნობილ უნდა იქნას სამართალდამრღვევად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით და საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომებისთვის და ადმინისტარციული სახდელის სახით უნდა დაეკისროს ჯარიმა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით განსაზღვრული სახდელის ფარგლებში - ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 27-ე, 36-ე, 86-ე, 260-ე, 261-ე, 264-ე, 266-268-ე, 271-273-ე, 290-ე მუხლებით; ასევე - ნარჩენების მართის კოდექსის 31-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. **შპს „ჯანდარის ტბა - 2“** ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 86-ე მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომისთვის, ასევე საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომებისთვის;

2. **შპს „ჯანდარის ტბა - 2"-ს,** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლის გამოყენებით, ადმინისტრაციული სახდელის სახით დაეკისროს **ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით**;

3. განემარტოს სამართალდამრღვევს, რომ მან დაკისრებული ჯარიმა უნდა გადაიხადოს დადგენილების ჩაბარებიდან არაუგვიანეს 07 (შვიდი) კალენდარული დღისა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ (სახაზინო კოდზე №**302003541)** და სასამართლოს უნდა წარმოუდგინოს გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ საბანკო ქვითრის დედანი, რომელშიც მითითებული იქნება განხილული საქმის ნომერი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დადგენილება მიექცევა იძულებით აღსასრულებლად;

4. დადგენილების ასლები გაეგზავნოთ მხარეებს;

5. დადგენილების შესახებ ეცნობოს შსს-ს საინფორმაციო ანალიტიკურ დეპარტამენტს;

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს საჩივრით თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7ა), დადგენილების ასლის მხარეთათვის ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში, გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს (ქ. გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქუჩა №2ბ) მეშვეობით.

მოსამართლე: **ირინე ტყეშელაშვილი**